საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება №338

2018 წლის 29 მარტი

საქართველო, ქალაქი რუსთავი

„თეიმურაზ ლურსმანაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის (შემოსული: №1727/02; 15.02.2018) ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 მარტის №291 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „თეიმურაზ ლურსმანაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის (შემოსული: №1727/02; 15.02.2018) ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღების შესახებ“ ქალაქ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 მარტის №291 ბრძანებაში და ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3.ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირად ჩართულ იქნეს თეიმურაზ ლურსმანაშვილი (წარმომადგენელი: მამუკა იაშვილი), ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური და სოლომონ ბედოშვილი“.
2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წარმოების საკითხზე მიღებულ საბოლოო (შემაჯამებელ) გადაწყვეტილებასთან ერთად.

ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი ტაბაღუა

საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება №291

2018 წლის 19 მარტი

საქართველო, ქალაქი რუსთავი

თეიმურაზ ლურსამანაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის (შემოსული: №1727/02; 15.02.2018) ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის, 97-ე მუხლის, 177-ე მუხლის, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 183-ე მუხლის, 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 194-196-ე მუხლების, 198-ე მუხლის, 202-ე მუხლის შესაბამისად და თეიმურაზ ლურსმანაშვილის 2018 წლის 15 თებერვლის №1727/02 ადმინისტრაციული საჩივრის (გადმოგზავნილი №2999-02, 15.03.2018) გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თეიმურაზ ლურსმანაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი მიღებულ იქნეს წარმოებაში და დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.
2. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) თვე.
3. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირად ჩართულ იქნეს თეიმურაზ ლურსმანაშვილი (წარმომადგენელი: მამუკა იაშვილი) და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური.
4. შეჩერდეს გასაჩივრებული აქტის მოქმედება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გაეგზავნოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურს და დაევალოს საჩივარში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით წერილობითი დასკვნისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების ყველა მასალის წარმოდგენა ბრძანების ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.
6. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით ზეპირი მოსმენა დაინიშნოს 2018 წლის 28 მარტს 16:00 საათზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში (მის:ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ.№20) და წინადადება მიეცეთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს

უშუალოდ ან კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობის უფლებით აღჭურვილი პირის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში დანიშნულ დროს.

7. მხარეებს მიეცეთ წინადადება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და დამატებითი დოკუმენტები (მტკიცებულებები) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.
8. ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად მომზადება და მისი განხილვის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს.
9. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
10. ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წარმოების საკითხზე მიღებულ საბოლოო (შემაჯამებელ) გადაწყვეტილებასთან ერთად.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი **დავით კეკელიძე**